საქართველოს მთავრობის

დადგენილება №394

2022 წლის 26 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019 – 2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №662 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019 – 2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №662 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2019; 190020010.10.003.021684) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართი („საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019 – 2023 წლების ეროვნული სტრატეგია“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**